

**კავკასიის უნივერსიტეტი**

**კავკასიის ეკონომიკის სკოლა**

პროგრამის დასახელება	ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა
პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Master's Program in Economics
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	მაგისტრატურა
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	
	ქართულად: ეკონომიკის მაგისტრი (0701)
	ინგლისურად: Master of Economics (0701)
სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი სრული ინფორმაცია იხ. “პროგრამის ხელმძღვანელის CV”	კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი: მაია გონაშვილი ასოც. პროფ. აკაკი ცომაია. პროგრამის ხელმძღვანელების - მაია გონაშვილის CV (დანართი 1) და აკაკი ცომაიას CV (დანართი 2) თან ერთვის.
პროგრამის დამტკიცების თარიღი:	დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2016 წლის ბრ.№ 01/01-14, 26.02.2016

## სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

### პროგრამის მიზანი

პროგრამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლის მისიაში ასახულ მიზნებს და უზრუნველყოფს ინოვაციებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი სპეციალისტების მომზადებას და ამ სფეროში საზოგადოების-საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

საწყის ეტაპზე კავკასიის ჯანდაცვის სკოლამ ფუნქციონირება დაიწყო ჯანდაცვის სფეროში ჩართული მენეჯერებისათვის „ჰოსპიტალური მენეჯმენტის ტრენინგ პროგრამის“ განხორციელებით. ამ ტრენინგ პროგრამის მონაწილე პროფესორ-მასწავლებელთა, ტრენერთა, მონაწილეთა და პროგრამის გარემემფასებელთა საფუძველზე, ასევე კურსების მიმდინარეობის განმავლობაში მონაწილეთა უკუკავშირის ანალიზის შედეგად შეიქმნა სკოლა და კავკასიის ჯანდაცვის სკოლამ შეიმუშავა ჯანდაცვის მენეჯმენტში სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამები, რომლებიც აკრედიტირებულია და უკვე ხორციელდება. 2013 წლის 1 დეკემბრიდან კი ჯანდაცვის სკოლის აკადემიური პერსონალი ჩართულია ტემპუსის „EIGER\_TEMPUS“ პროექტის ეკონომიკური ბლოკის განხორციელებაში (პროექტი გულისხმობს სამი უნივერსიტეტის ბაზაზე სტუდენტთა მომზადებას ეკონომიკის-სოციოლოგიისა და სამართლის მიმართულებით), რამაც მოგვცა საშუალება მომხდარიყო ეკონომიკის მიმართულებით სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების შემუშავება და შესაბამისად სკოლის სახელის ცვლილებაც. პროგრამა ხორციელდება ბრიუსელის ვრიჯის უნივერსიტეტის (ეკონომიკის, სოციალურ და პოლიტიკის დეპარტამენტი- VUB), ევროპის ეკონომიკისა და მენეჯმენტის კოლეჯი(ECEM-ბულგარეთი, პლოვდივი), მაგდებურგის უნივერსიტეტი (OVGU-გერმანია) და საქართველოს მხრიდან კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლა, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის სკოლა და თსუ-ს სოციოლოგიურ და პოლიტიკის მეცნიერებათა ფაკულტეტი. სკოლაში შექმნილია და ფუნქციონირებს ეკონომიკის კვლევის ცენტრი.

საქართველოში თანდათან იზრდება მოთხოვნა ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის განვითარებისთვის შესაბამის კადრების მომზადების აუცილებლობა. ასეთი სპეციალისტების არსებობა მნიშვნელოვანია როგორც სამეცნიერო-კვლევით

ორგანიზაციებში, ისე სახელმწიფო ორგანოებში, ეკონომიკის დარგებში, რეგიონულ სტრუქტურებში მუშაობისათვის, რაც უნდა ხორციელდებოდეს სწავლების ყველა საფეხურზე სისტემური პროგრამული ღონისძიებების საფუძველზე და რისი მეორე ეტაპიცაა ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა.

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია ბულგარეთის, ბელგიისა და მაგდებურგის უნივერსიტეტებისა და ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორებთან კონსულტაციების შედეგად. ეს პროგრამა ფოკუსირებულია და ითვალისწინებს კადრების მომზადებას ეკონომიკის მიმართულებით.

მოცემული პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს ღრმა და სისტემური თეორიული ეკონომიკური ცოდნა, კომპლექსური პრობლემების ორიგინალური გადაწყვეტის იდეების ძიების, ეკონომიკური კვლევების თანამედროვე მეთოდებსა და მათი გამოყენების შესაძლებლობებზე, გამოუმუშავოს დინამიურ ეკონომიკურ გარემოში პრაქტიკული საქმიანობის უნარ-ჩვევები; გააანალიზოს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებები მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე; თეორიული და სპეციალური ცოდნის სინთეზის საფუძველზე შეიძინოს კომპეტენციები ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე; შეძლოს ეკონომიკის თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება, შედეგების სწორი ინტერპრეტაცია, განახორციელოს პრაქტიკული ხასიათის პროექტები; გამოიმუშაოს ანალიზის, კრეატიული და ინოვაციური აზროვნების უნარები; შეძლოს ეკონომიკური ხასიათის რთული და არასრული ინფორმაციის, მონაცემების შეგროვების საფუძველზე სიტუაციების კრიტიკული ანალიზი და განხორციელებული დასკვნების ჩამოყალიბება; შეძლოს კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით და დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.

სამაგისტრო პროგრამა კურსდამთავრებულს აძლევს ეკონომიკის სფეროში მოღვაწეობისა და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის საჭირო თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკული უნარების დაუფლების შესაძლებლობას.

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა მოახდინოს მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზი, რაც მოცემული პროგრამის წარმატების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია. კერძოდ, სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა სხვადასხვა მიმართულებით მოახდინონ მინი პროექტების დაწერა და მათი პრეზენტაცია, და გამოიმუშაონ გარკვეული საჭირო უნარ-ჩვევები, მიიღონ ადამიანებთან საქმიან გარემოში ურთიერთობის გამოცდილება, რაც გარკვეულწილად მათი წარმატებული კარიერის ერთ-ერთი საფეხური იქნება.

მაღალკვალიფიციური ეკონომისტების აღზრდა, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან ეკონომიკის თანამედროვე თეორიისა და პრაქტიკის ცოდნით; ეკონომიკური განათლებისა და სამეცნიერო კვლევების საერთაშორისო სტანდარტების დონეზე – წარმართვა სახელმწიფო და კერძო სექტორების ინტერესების შესაბამისად; ეკონომიკის სწავლებისადმი

ახალი მიდგომების ჩამოყალიბება; სწავლებისა და ეკონომიკური კვლევის ინოვაციური მეთოდების დანერგვა; ახალი ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა .

**სამაგისტრო პროგრამის სწავლის  
შედეგი**

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება შემდეგი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები:

**ციოდნა და გაცნობიერება** - კურსდამთავრებულს აქვს სტუდენტები იძენენ ღრმა, სისტემურ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომელიც მათ მისცემს საშუალებას მოახდინონ: სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შეფასება; გადაწყვეტილებების მიღება სხვადასხვა რესურსის ოპტიმალურ გამოყენებასთან დაკავშირებით; საერთაშორისო და განვითარებული (ევროკავშირის) საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილების შეფასება, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვა და ქართულ რეალობასთან მათი მისადაგება; საკუთარი თვალსაზრისის დასაბუთებულად წარმოდგენა ფაქტობრივი ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით და ობიექტური არგუმენტების მოტანით; თეორიული ვარაუდების შედარებითი ანალიზი და ამგვარი ანალიზის შედეგების მკაფიოდ ჩამოყალიბება; ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების უნარი, ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გაცნობიერება.

ფუნდამენტურ და სპეციალურ ეკონომიკურ დისციპლინებში ღრმა ცოდნა; გათვითცნობიერებული აქვს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებები მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე; თეორიული ცოდნის საფუძველზე ჩამოუყალიბდა წარმოდგენა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში, ბაზრებზე მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე.

მიკრო და მაკრო ეკონომიკის, გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკის, შრომის ეკონომიკის, მონეტარული და პოლიტიკური ეკონომიკის, რეგიონალური ინტეგრაციისა და საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე პრინციპების, თანამედროვე ეკონომიკური თეორიებისა და მეთოდების სიღრმისეული ცოდნა; ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გამოკვეთა და მკაფიოდ ჩამოყალიბება; ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გზების ძიება; ეკონომიკური პრობლემების შეფასების კრიტერიუმების შერჩევა; ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გზების ალტერნატივების განსაზღვრა და მათგან ოპტიმალურის შერჩევა; ეკონომიკის ღრმა და სისტემური ცოდნა.

**□□ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები** - კურსდამთავრებულს გააჩნია: ეკონომიკის თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების უნარი; კვლევისა და დასკვნების, შედეგების სწორი ინტერპრეტაციის უნარი; კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელების უნარი . ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება; თეორიული კონცეფციებისა და მიდგომების გამოყენება; პრაქტიკული პრობლემების მულტიდისციპლინური მიდგომებით გადაჭრა; ახალი მიდგომების ფორმირება; ეკონომიკის სხვადასხვა დარგში კვლევების ჩატარება; უახლესი მიდგომების, მეთოდებისა და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით მონაცემთა გაანალიზება და დასკვნების გამოტანა; ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების უნარი. კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებისა და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

- **დასკვნის უნარი** - კურსდამთავრებულს აქვს: ძირითადი ეკონომიკური იდეების აზრების გაგებისა შესაძლებლობა; ანალიზისა და სინთეზის უნარი, კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის უნარი; ეკონომიკური ხასიათის მონაცემების შეგროვებისა და განმარტების უნარი; სიტუაციების ანალიზის, მიღებული შედეგების შეჯერებისა და სინთეზის, განზოგადებული დასკვნების გაკეთების უნარი; საჭიროების შემთხვევაში დამატებითი რესურსების გამოყენებით შესაბამისი დონის ეფექტური გადაწყვეტილების მიღების უნარი.

სწავლის დროს მიღებული და განვითარებული ანალიტიკური უნარები სტუდენტებს საშუალებას მისცემს: ჩაატარონ პრობლემების სიღრმისეული ანალიზი რეალურ სიტუაციებში მოქმედი მრავლობითი— ფაქტორის გათვალისწინებით; გამოიყენონ მულტიდისციპლინური მიდგომები სწორი დასკვნების გაკეთების მიზნით;— გამოაცალკევონ კონკრეტულ სიტუაციაში მოქმედი ფაქტორები, დააღაგონ და მოახდინონ მათი— კატეგორიზაცია; ერთმანეთისაგან გამოიყონ ძირითადი და მეორეხარისხოვანი, მოახდინონ არსებული მიდგომების— კრიტიკა და გამოიტანონ დასაბუთებული დასკვნები; გამოავლინონ რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე— დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი

- **კომუნიკაციის უნარი** - კურსდამთავრებულს გააჩნია: თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევები, სხვადასხვა ენაზე წერილობით და ზეპირსიტყვიერად კომუნიკაციის უნარი ( როგორც მშობლიურ ენაზე; ასევე ინგლისურ ენაზე) ცოდნის ინტეგრირების უნარი, როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური მუშაობისას. წერილობითი ანგარიშის მომზადებას; პრეზენტაციის ფორმით მოსაზრებების გადმოცემას;

ეკონომიკის დარგში უახლესი ინფორმაციის მიღების და გაცვლის გამოცდილება წამყვანი— ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და კომუნიკაციის სხვადასხვა, დარგის სპეციალისტებთან, პროფესორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ურთიერთობის გამოცდილება; მშობლიურ და უცხო ენაზე პროფესიული პრეზენტაციების წარმართვა;— დისკუსიების წარმოება, აზრის ზეპირად და წერილობით მკაფიოდ და მწყობრად

გამოხატვა;— საკუთარი შეხედულებების მკაფიოდ ჩამოყალიბება, გასაგებად გამოხატვა და— არგუმენტირებული კამათის უნარი; საკუთარი დასკვნების აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო— საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით ჩამოყალიბების უნარი.

- **სწავლის უნარი** - კურსდამთავრებულს აქვს: ახლის ათვისებისა და სწავლის უნარი; საკუთარი სწავლის პროცესის სწორი და ეფექტური დაგეგმვა; სასწავლო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება და მართვა. საკუთარი პროფესიული ინტერესების განსაზღვრისა და შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენის უნარი;

სამაგისტრო პროგრამაში სასწავლო მასალებისა და ლიტერატურის ხელმისაწვდომობა— სტუდენტს უყალიბებს უნარს გააცნობიეროს სწავლის პროცესის თავისებურებები; სტრატეგიულად დაგეგმოს და წარმართოს სწავლის პროცესი;— შეეჩვიოს როგორც დამოუკიდებელ, ისე გუნდურ მუშაობას;— შეიძინოს საკუთარ თავზე მუშაობის, ცოდნის მუდმივად განახლების, დიდი მოცულობის— ინფორმაციასთან მუშაობისა და დროითი შეზღუდვების პირობებში მუშაობისათვის საჭირო უნარები; აქცენტი ეკონომიკაში რთული მათემატიკური მიდგომების გამოყენებისა და უახლესი თეორიების— გაცნობაზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის, მისი თავისებურებების გაცნობიერებისა და— სტრატეგიულად დაგეგმვის განვითარებული უნარი.

- **ღირებულებები**- ქართული საზოგადოებისათვის და სახელმწიფოსთვის მიღებული ღირებულებებისა და ფასეულობების გათვითცნობიერება-გაზიარება და მათი ფორმირების პროცესში ხელშეწყობა; ეთიკისა და სოციალური კორპორაციული პასუხისმგებლობის მცნებების გათვითცნობიერება და ამ მიმართულებით, ღირებულებების ფორმირების პროცესში დახმარება; მაღალი ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი— ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი და სურვილი.

### სამაგისტრო პროგრამის სტანდარტები

ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებია:

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;
- სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადექვატურობა;
- სტუდენტების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა;
- სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა;
- სწავლების ხარისხის ამაღლების შესაძლებლობები;
- კვლევის განვითარება.

### პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე მიღება წარმოებს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა მიერ მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე. და გასაუბრების და ინგლისური ენის გამოცდის შემთხვევაში. (საერთაშორისო აღიარებული ორგანიაციების მიერ გაცემული B2 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატის არ არსებობის შემთხვევაში).

გარდა:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

პროგრამაზე მიღების წესებზე ინფორმაცია განთავსებულია კავკასიის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე

### დასაქმების სფეროები

პროგრამას კურსდამთავრებულები ჯერ არ ჰყავს, რადგან ახალია.

პროგრამა ორიენტირებულია კვალიფიციური კადრის მომზადებაზე, ეფუძნება შრომის ბაზარზე არსებულ რეალურ მოთხოვნებს და დარგში დადგენილ დარგობრივ სტანდარტებს. კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ დასაქმდნენ შემდეგ სექტორებში:

საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები;

სახელმწიფო სექტორი:

- საქართველოს მთავრობა
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- ფინანსთა სამინისტრო;
- სტატისტიკის ეროვნული ბიურო;
- ეროვნული ბანკი
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები
- და სხვ.

კერძო სექტორი:

- საბანკო
- სადაზღვევო
- აუდიტორული ფირმები
- სადისტრიბუციო
- საცალო ვაჭრობის კომპანიები
- სარეკლამო კომპანიები
- კვლევითი კომპანიები
- საგანმანათლებლო დაწესებულებები
- და სხვ.

## პროგრამის მოცულობა კრედიტებით

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში საშუალოდ – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით: შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებით. სემესტრი მოიცავს 19 კალენდარულ კვირას (21 კვირას-დამატებითი გამოცდის შემთხვევაში) შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კალენდარულ კვირაზე (42 დამატებითი გამოცდის შემთხვევაში).

შესაბამისად, პროგრამის ოპტიმალური ვადა შეადგენს 2 წელს, ხოლო დასაშვები ვადაა 4 წელი. დასაშვებ ვადაში არ შედის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი. სტუდენტს, რომელიც დასაშვებ ვადაში ვერ შეძლებს მაგისტრატურაში სწავლის დასრულებას შეუწყდება სტატუსი და სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური მას გადასცემს ნიშნების ფურცელს.

პროგრამაში საგნების განაწილება ეფუძნება შინაარსობრივ თანამიმდევრობას და ლოგიკას, გამოყენებულია საგნებს შორის წინაპირობის დაცვის პრინციპი, რაც იძლევა დასახული კომპეტენციების სტუდენტისთვის მიღების საშუალებას. სასწავლო პროგრამაში საგნები დაყოფილია: სავალდებულო და არჩევით საგნებად, კვლევისა და პრაქტიკული ნაწილის კომპონენტად და სამაგისტრო ნაშრომი.

პროგრამაში სავალდებულო საგნების კრედიტების წილი შეადგენს 42 ECTS კრედიტს, არჩევითის 30 ECTS სტუდენტისთვის შეთავაზებული 60 ECTS მოცულობის საგნებიდან, პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტი 6 ECTS და სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის კომპონენტი 30 ECTS.

კავკასიის უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის გაანგარიშება კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემის ECTS-ის მიხედვით ხდება. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც მაგისტრის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს (ლიტერატურის მიმოხილვა, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის მზადება და ა.შ.)

სასწავლო წლის განმავლობაში დასაშვებია 60-ზე უფრო მეტი ან ნაკლები კრედიტების დაგროვება, მაგრამ არაუმეტეს 75-ისა წელიწადში.

## სწავლის გაგრძელების საშუალება

სამაგისტრო პროგრამის დამთავრების შემდეგ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა უნივერსიტეტების მიერ მიღების წესების წარმატებით გავლის შემდეგ სწავლა გააგრძელონ როგორც ეკონომიკის, ისე სხვა მიმართულების სადოქტორო პროგრამებზე.

## სტუდენტის ცოდნის შეფასების



განვლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
- ყოველკვირეულ შეფასებას
- შუა სემესტრულ შეფასებას;
- საბოლოო/დასკვნითი გამოცდის შეფასებას;

სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერიტი (ტესტი, ღია კითხვები, ესე, და ა.შ) გამოკითხვა, ჯგუფური/ინდივიდუალური დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია, შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში.

**შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილება შემდეგი სქემის მიხედვით:**

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სწავლების პირველი წლის სასწავლო კურსებში (გარდა B2 დონის ინგლისური ენის) შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 51%, რომ მოიპოვოს

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება; სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 51%. სხვა დანარჩენ სასწავლო კურსებში სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერიტი (ტესტი, ღია კითხვები, კვლევითი ესე და სხვა) გამოკითხვა. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. სასწავლო პროცესის დაწყების წინ სილაბუსი იტვირთება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

### სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერიტი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (case study) მეთოდი, ახსნა-განმარტების მეთოდი, გონებრივი იერიშის მეთოდი (brainstorming), სწავლების დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი და სხვ. სწავლება და სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ანაცვლებენ. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის სილაბუსში.

სწავლის პერიოდში პედაგოგები იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს კერძოდ, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში, შემთხვევების შესწავლა, პროექტებზე მუშაობა და პრეზენტაციები

### შესაბამისი პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები

პროგრამა უზრუნველყოფილია 5 პროფესორით, 10 ასოცირებული პროფესორით, 4 ასისტენტ-პროფესორით და დარგში მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილების მქონე მოწვეული სპეციალისტებით.

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- ✓ სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- ✓ კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- ✓ კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

**შენობა-ნაგებობანი** - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

**ბიბლიოთეკა** - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის (სულ 12 290 ერთეული ბეჭდური და 3192 ერთეული ელექტრონული რესურსი). ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური 1 ასლგადამღები აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლების დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით:

- ✓ Cambridge Journals Online
- ✓ e-Duke Journals Scholarly Collection
- ✓ Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-book
- ✓ Royal Society Journals Collection
- ✓ Taylor And Francis Online
- ✓ EBSCO Elit package
- ✓ International Security & Counter Terrorism Reference Center

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

**საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები** - არსებობს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ლაბორატორია და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. კომპიუტერები უზრუნველყოფილია შესაბამისი პროგრამული ინსტრუმენტებით/აპლიკაციებით. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

კავკასიის უნივერსიტეტი სადღეისოდ აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული საშუალებებით, ასლგადამღები აპარატურით (რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის განახლება მოხდა 2018 წელს). ამჟამად უნივერსიტეტში B და C სართულებზე გაშვებულია შვიდი კომპიუტერული კლასი, დამატებით ორი ასეთი კლასის ორგანიზება დაგეგმილია მიმდინარე წლის ბოლომდე "A" სართულზეც. ასეთი კლასები პერსონალური კომპიუტერით და მულტიმედია პროექტორებით არის დაკომპლექტებული. ასეთი პროექტორებით და კომპიუტერებით აღჭურვილია ყველა აუდიტორია და ბიბლიოთეკა. ადმინისტრაცია და პრაქტიკულად ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერებით და ინტერნეტთან წვდომით. უნივერსიტეტის საკომპიუტერო პარკი 350 ერთეულზე მეტს შეადგენს. ამას ემატება ორგტექნიკა პრინტერების და სკანერების სახით. რამდენიმე ე.წ. „Smart board“, სწრაფქმედი (მაღალი წარმადობის) „კიოსერას“ ფორმის ასლგადამღები აპარატები, აგრეთვე ფერადი ასლგადამღები დანადგარი „HP MFD“ - ტიპის. უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია WiFi, ასევე უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირი IP ტელეფონებით. უნივერსიტეტის სასერვეროში მოქმედებს სამი ერთეული თანამედროვე სერვერი, ხოლო მის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია შესაბამისი ქსელური აპარატურა („Cisco“-ს და „Nortel“-ის სვიჩებით, Fortinet-ის NG Firewall-ით, wireless controller და access point-ებით, და ა.შ.), სულ 100-ზე მეტი ამგვარი მოწყობილობით. უნივერსიტეტი ჩართულია გარე ქსელში და აქვს ინტერნეტთან წვდომა 150/150 Mbps ლოკალისა და გლობალ კავშირებზე.

აღნიშნული რესურსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

კავკასიის უნივერსიტეტი არის მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი, დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, აგრეთვე კვლევით უნივერსიტეტებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რითაც უზრუნველყოფს მიმდინარე და დაგეგმილი აკადემიური პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას, პროგრამებში უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების ჩართვას, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლას და პროფესიულ განვითარებას.

საერთაშორისო ორგანიზაციების რესურსები: კავკასიის უნივერსიტეტის ერთერთი ყველაზე ხელშესახები მიღწევაა, ფართო მამტაბური ინტეგრირება მსოფლიო საგანმანათლებლო ბაზარზე. ამჟამად, კავკასიის უნივერსიტეტი, მეორე, მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებს შემდეგ უნივერსიტეტებში: ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ამერიკა; ფორცამის უნივერსიტეტი - გერმანია; პარიზის ბიზნესის სკოლა - საფრანგეთი; კლერმონის ბიზნესის უმაღლესი სკოლა - საფრანგეთი; დანკერკის უმაღლესი ბიზნესის ინსტიტუტი - საფრანგეთი; ვილნიუსის უნივერსიტეტი - ლიტვა; ესტონეთის ბიზნესის სკოლა - ესტონეთი; ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი - ესტონეთი; კიპროსის უნივერსიტეტი - კიპროსი; სტეიერის ზემო ავსტრიის უნივერსიტეტი - ავსტრია; რიგის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების საერთაშორისო სკოლა - ლატვია; რიგის ტექნიკური უნივერსიტეტი - ლატვია; აჯოუს უნივერსიტეტი - სამხრეთ კორეა; სტამბულის ბილგის უნივერსიტეტი - თურქეთი; ლისაბონის უნივერსიტეტი - პორტუგალია.

კავკასიის უნივერსიტეტი არის შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მენეჯმენტის განვითარების ასოციაცია (CEEMAN); საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის სკოლების ქსელი (NIBES); უნივერსიტეტის პრეზიდენტთა საერთაშორისო ასოციაცია (IUAP); ჰარვარდის ბიზნესის სკოლის სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტის წევრი (Harvard Business School's Institute of Strategy and Competitiveness Network)

# ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

(მოდულების, საგნების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი					
				ლექტორის	I წელი		II წელი		
				გვარი	სემესტრი				
					I	II	III	IV	
<b>დარგობრივი სავალდებულო საგნები</b>				<b>სულ - 42</b>					
1.	HCM 5181	საქმიანი/ბიზნეს კომუნიკაცია (ინგლისურ ენაზე)	Business communication	ლ. აბდუშელიშვილი	6				
2.	ECON 5181	მიკროეკონომიკა (გადმსწავლებელი)	Microeconomics (Advance)	ა.ცომაია	6				
3.	ECON 5183	მაკროეკონომიკა (გადმსწავლებელი)	Macroeconomics (Advance)	ა.ცომაია		6			
4.	ECON 5186	საერთაშორისო ეკონომიკა (თეორია და პოლიტიკა)	International Economics (theory and politics)	ა. ცომაია			6		
5.	ECON 5182	სოციალური სტატისტიკა	Social Statistics	ლ.ჩარექიშვილი	6				
6.	ECON 5187	ეკონომეტრიკა	Econometrics	ნ.მიქიაშვილი			6		
7.	ECON 5191	მაკროეკონომიკური პროგნოზირება	Macroeconomic Prediction	ლ.თოთლაძე			6		
<b>არჩევითი საგნები-30 კრედიტი (84 კრედიტიდან)</b>									
8.	TSU 0001	მოდერნული და პოსტმოდერნული სოციალური თეორია		იაგო კაჭკაჭიშვილი	5				
9.	TSU 0003	სოციალური კვლევის მეთოდები		იაგო კაჭკაჭიშვილი	5				
10.	ECON 5192	კონკურენციის მიკროეკონომიკა* (ჰარვარდის ნებართვით) (ქართულ და ინგლისურ ენაზე)		ბ.ლექვა		6			

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი				
				ლექტორის	I წელი		II წელი	
				გვარი	სემესტრი			
					I	II	III	IV
11.	CU 5182	დასაქმების პოლიტიკა და არაფორმალური ეკონომიკა ევროკავშირში		ანა დიაკონიძე	5			
12.	ECON 5193	მენეჯერული ეკონომიკა		გიორგი ბაქრაძე			6	
13.	ECON 5189	აგრარული ეკონომიკა		თენგიზ თაქთაქიშვილი		6		
14.	CU 5188	დასაქმების პოლიტიკა და არაფორმალური ეკონომიკა საქართველოში - შედარებითი პერსპექტივა		აკაკი ცომაია	5			
15.	ECON 5185	გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა საქართველოში - შედარებითი პერსპექტივა		მაია გონაშვილი		6		
16.	GAU 0006	ინდუსტრიული ურთიერთობების სისტემა ევროკავშირში		მარინა მუსხელიშვილი		5		
17.	GAU 0005	ინდუსტრიული ურთიერთობების სისტემა შედარებითი ანალიზი		მარინა მუსხელიშვილი	5			
18.	HCM 5283	ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსის მენეჯმენტი		მაია გონაშვილი			6	
19.	CU 5389	შრომისა და ორგანიზაციის სოციოლოგია		ანა დიაკონიძე			5	
20.	ECON 5194	ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგია		ი.მაკალათია		5		
21.	ECON 5195	სახელმწიფო ეკონომიკა (ფისკალური თეორია და პოლიტიკა)		ლ.ჩაგელიშვილი		6		
22.	GAU 0008	პოლიტიკური ეკონომიკა და საზოგადოებრივი არჩევანი		ლ. ჩაგელიშვილი			5	
23.	ECON 5196	მოლაპარაკების წარმოების მეთოდები		პ.ბრეკაშვილი			5	
24.	ECON 5188	თამაშთა თეორია		აკაკი ცომაია			6	

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი				
				ლექტორის	I წელი		II წელი	
				გვარი	სემესტრი			
					I	II	III	IV
24.	ECON 5197	მონეტარული ეკონომიკა (ფულის მიწოდების თეორია და პოლიტიკა)		ლ. ჩაგელიშვილი			5	
პრაქტიკული კომპონენტი				6			6	
სამეცნიერო კვლევის კომპონენტი:				სულ-42				
25.	ECON 5184	აკადემიური წერა და სამაგისტრო ნაშრომის დიზაინი		ლ. აბდუშელიშვილი		6		
26.	RESH 5381	კვლევის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდები		ნ. ჩუბინიძე			6	
27.	CU 5486	სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა						30
სემესტრში					30	30	30	30
წელიწადში				48 საე+ 30 არჩ + სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი (30+12)		60		60
სულ							120	

შენიშვნა 1: არჩევითი საგნები სტუდენტს შეუძლია თავისი სურვილის მიხედვით გაიაროს გაზაფხულის/შემოდგომის სემესტრში.

შენიშვნა 2: ტემპუსის პროექტის ფარგლებში მომზადდა და ქართულად ითრგმნა არჩევითი საგნების რიდერები, რომლებიც ინახება ბიბლიოთეკაში. (ინგლისური და ქართული ვერსიები)





კურიკულუმი	თან ერთვის	არ ერთვის
სასწავლო კურსების აღწერილობები	თან ერთვის	არ ერთვის
სასწავლო კურსების სილაბუსები	თან ერთვის	არ ერთვის